# ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 26. შაბათი 2 თებერვალი 1902 წ. გაზეთის № 1715.


## ქალმა გაიმარჯვა!

მოთხრობა ფ. ფილიპსისა

ბატონი გარდინგი შეძლებული ვაჭარი იყო. მას ჰქონდა მდიდარი, ელექტრონით განათებული მაღაზია. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა ის დრო, როდესაც მათე გარდინგი თავზე თაბახ-დადგმული დადიოდა. ახლა კი იმ ახლო-მახლოში მისი მაღაზიის ცალი არავის აქვს... წვრილი ვაჭრები გარდინგის სახელის გაგონებაზედ მუდამ შიშით ჰკანკალებენ; და არც თუ ტყუილი იყო ეს შიში: ხორცს იგი ყოველთვის სხვებზედ იაფად ჰყიდიდა, პურს ხომ ისე მცირე ფასად, რომ მეპურეებს სამათხოვროდ გაუხადა საქმე; ფეხსაცმელებზე, ფარჩეულობზაე დ სხვა-და-სხვა წვრილმან საქონელზე ხომ ისეთი მცირე ფასები ჰქონდა გამოცხადებული, რომ მოქიშპე ვაჭრები სასოწარკვეთილებით და სიბრაზით გულზე სკდებოდნენ. მაგრამ გარდინგს არავის ჯავრი არ აწუხებდა! ოღონდ საკუთარი საქმე კარგად წაეყვანა, და სხვას თუნდა თავი ქვისთვის ეხალა

ბ-ნს გარდინგს სიმდიდრის გარდა, უყვარდა თავისი ერთად-ერთი ქალი სიბილა. მათე გარდინგი ტლანქი იყო სიბილა კი ტანწერწეტი და ეშხიანი; გარდინგი უშნო, ულაზათო იყო; წვრილი, გაუმაძღარი თვალები ჰქონდა; სიბილა კი იყო მშვენიერი; მისი წყლიანი ლურჯი თვალები მიაგავდნენ მოწმენდილ ცის ნაფლეთს; ბ-ნი გარდინგი ყველას სძულდა, სიბილას კი ათაყვანებდნენ. გარეგნობისა და ხასიათის განსხვავების მიუხედავად, მამა-შვილს ერთმანერთი ძალიან უყვარდათ; მამა ხასიათის სისაძაგლეს შვილთან ჰმალავდა, და სიბილას კი ეგონა, რომ მისი მამისთანა გულკეთილი და სულ გრძელი ადამიანი ქვეყანაზედ არ მოიპოვებოდა.



ალჟრსი. —ქანდაკება ტობერენცისა.

მაგრამ, როდესაც იმან ღარიბი ვაჭრის შვილი, ჩარლი ბორროუსი, შეიყვარა, მამის ხასიათის უნაკლულობაზე აზრი შეიცვალა. გარდინგმა ქალს ცივი უარი უთხრა ჩარლის შერთვაზე: „ჩემთვის უმჯობესია შენი კუბო ვიხილო, ვიდრე მეწვრილმანის შვილის ცოლობა, მერე ისეთის მეწვრილმანისა, რომელსაც ასის თუმნის ნდობაც არა აქვს.“

სიბილას უთუოდ მამის მტკიცე ხასიათი გამოჰყვა, რომ მამას გამოუცხადა, ჩარლის დავიწყება ჩემთვის შეუძლებელია და მოცდით კი მოვიცდი იმ დრომდე, ვიდრე ჩარლი ცოლშვილის რჩენას შეიძლებსო. „მე ჩემს სიტყვას ავასრულებ კიდეც,“—სთქვა ქალმა.

—- არც მე გადავალ ჩემს ნათქვამს,—შეუტია მამამ: —- შენს სამარცხვინო გათხოვებას შენი სიკვდილი მირჩევნია ეს კარგად დაიხსომე, ქალბატონო! — მამა და ქალი ჩვეულებრივ სასტუმრო ოთახში აგუზგუზებულ „ბუხრის წინ ისხდნენ. მაგიდაზე— გარდინგს ახლო — ბოთლით არაყი, წყლით პატარა ქვაბი, ლიმონი და შაქარი იდგა. გარდინგს ჩვეულებად ჰქონდა, რომ დაწოლამდე, უკანასკნელის ჩიბუხის მოწევის წინ დაელია თავისივე ხელით მომზადებული პუნში. რომ ამ არა სასიამოვნო დავისთვის ბოლო მოეღო გარდინგმა ასადუღებლად ქვაბი ცეცხლზე შესდგა.

ქალი ადგა და მამის წინ დაიჩოქა:

— მამილო! — უთხრა ალერსით: —ნება დამრთე— ჩარლის მივთხოვდე, ხომ იცი რა ძალიან მიყვარს?!

— სისულელეა! — დაიყვირა გაანჩხლებულმა გარდინგმა:—თუ შეყვარება მოახერხე, დავიწყებასაც შეიძლებ! განა, ქვეყანაზე ჩარლის მეტი არავინ არის? მდიდარი საქმროები ცოტა არის?

— ვერა, მამი, ჩარლის ვერ დავივიწყებ და არც თუ სხვას ვისმე შევირთავ! შენს ხელშია ჩემი და ჩარლის ბედიც





სამშობლოს მოტრფიალენი. — „ჩემო სამშობლოვ, რა რიგ მიყვარხარ,“ — სურათი კიზელისა.

და უბედობაც! კარგად იფიქრე, შენი ჭირიმე, ნუ გაგვაუბედურებ!

გაცეცხლებულმა გარდინგმა ისე მძლავრად დაჰკრა მაგიდას მუშტი, რომ ყველაფერს ზანზარი დააწყებინა.

— პირველად და უკანასკნელად გეუბნები, ქალბატონო,— შეჰღრიალა ბ-მა გარდინგმა:—რომ ბორროუსს არ მიგცემ-მეთქი! არ მიგცემ, გამჩენსა ვფიცავ! თუ შენ მაინც შენსას არ დაიშლი და ჩემს უნებურად გათხოვდები—იცხოვრე შენს ლატაკს ქმართან; მე არც მზითევს მოგცემ და არც თუ სიკვდილის შემდეგ დაგიტოვებ რასმე, რომ სიმშილით პირში სულიც ამოგძვრეს! აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა!

ქალი ადგა ფერწასული და გარდაწყვეტით უთხრა: „არა, ჩარლის გავყვები ცოლად! ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა!“ და ოთახიდგან გავიდა.

ბ-ნმა გარდინგმა კოპები შეიკრა და ცეცხლზე შედგმულს წყლიანს ქვაბს ბლვერა დაუწყო. კარგად იცოდა, რომ მისი ქალი თავისს სიტყვას არ გადვიდოდა; ისიც იცოდა, რომ ჩარლის სიბილი გაგიჟებით უყვარდა. იმ დილით მოხუცი ბორროუსი იყო მასთან და შეეხვეწა: სიბილა ჩემს ჩარლის მიათხოვეო. ბ-ნმა გარდინგმა, რასაკვირველია, გალანძღა მოხუცი და გააგდო.

ნეტა, რა ჰქმნას, რომ როგორმე ჩაშალოს ეს ქორწინება. ბ-ნმა გარდინგმა თან-და-თან მოუკლო ჩიბუხის წევასა და ამ საგნის შესახებ ფიქრებს მისცა თავი. ერთხელაც არ მოსვლია იმას ის აზრი თავში, თუ იგი უსამართლობას, სჩადის რომ მისგან ქორწინების წინააღმდეგ მოყვანილი მიზეზი უსაფუძვლო იყო. ამაზე სრულებითაც არ ფიქრობდა გარდინგი; ის ეხლა მხოლოდ საშუალებაზედ ფიქრობდა... და მოიფიქრა კიდეც! დღეის შემდეგ მოხუც ბორროუსის ვაჭრობის დაცემას, მისს გაკოტრებას ეცდება. და, აი, ბ. მათეს შუშაბანდიანი მაღაზია სამწერლო ნივთებით გაივსო. თუ საბრალო ბორროუსი რაიმე სავაჭროს ფასს მოუკლებდა, გარდინგი უფრო დაუწევდა; ბორროუსს თუმც ბ-ნ გარდინგის მეტოქეობა ხელს არ მისცემდა, მაგრამ იძულებული იყო გარდინგის მიერ დაწესებულ ფასებში ეყიდნა საქონელი და ეს, რასაკვირველია, ზარალს მოასწავებდა. სამწერლო ნივთების ზარალს ბ-ნი მათე სხვა სავაჭროდგან ინაზღაურებდა, მაგრამ ჩარლის მამა კი გაკოტრების გზას დაადგა და გაკოტრდა კიდევაც. მოხუცმა ვერ გაუძლო ამ გარემოებას და თავის სული წინაპართ ჩააბარა. ბორროუსი მოკვდა და ჩარლი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ აპირობდა მამისთანა პატიოსნური ვაჭრობის განგრძობას, დარჩა უსახსრო, ულუკმა-პურო, და იძულებული შეიქმნა ნოტარიუსთან მწერლად დამდგარიყო. მცირე ჯამაგირის გარეშე მას არავითარი შემოსავალი არა ჰქონდა.

სიბილამ კი დასტოვა მშობლის სახლი. წასვლის დროს ისეთი სიტყვები მიახალა მამას, რომ ორივეს სიკვდილამდე ეხსომებათ: „მოხუცი ბორროუსის სიკვდილისა და ჩარლის გაუბედურების მიზეზი შენა ხარ! განკითხვის დღეს მოგეკითხება ეგ დანაშაული და თრთოდე! მე კი აღარ მინდა დავრჩე ამ წყეულ სახლში; შენთან ფუფუნებაში ცხოვრება და მშვენიერი ჩაცმა-დახურვა არა მსურს! უმჯობესია მშიერ-მწყურვალი ჩემს ჩარლისთან მოვკვდე!“

ბ-ნმა გარდინგმა ბევრი ილრიალა, ბევრი ილანძღა, მაგრამ ქალი მაინც წავიდა.

ამ გვარად მათე გარდინგის ცდას სრულიად სხვა, არა სასურველი, შედეგი მოჰყვა: თავის მეცადინეობით სიბილასი და ჩარლის შეუღლება უფრო დააშურა. მაგრამ, მის გულის მოსაოხებლად, ცოლ-ქმარნი, ტკბილის ცხოვრების ნაცვლად გაჭირვებაში ჩაცვივდნენ: სცხოვრებდნენ ბნელ სხვენში, ჩარლის მცირე ჯამაგირით უნდა დაეკმაყოფილებინა ყოველი თავიანთი მოთხოვნილება. სიბილა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ქმრისათვის დახმარება აღმოეჩინა, აქეთ-იქით ბარათებს ჰგზავნიდა და გაზეთებში განცხადებებს აბეჭვდინებდა, რომ რაიმე ადგილი ან სამუშაო ეშოვა, მაგრამ კარგა ხნობამდე ვერაფერს გახდა: ყოველს ადგილზე მრავალი მთხოვნელი იყო, გარდინგის ქალზე უფრო გამოცდილები. დიდის ლოდინისა და წანწალის შემდეგ იშოვა ფოტოგრაფთან მცირე ჯამაგირიანი ადგილი.

ამ ყოფაში ცოლ-ქმართ ერთი წელიწადი გაატარეს. წლის თავზე სიბილას ქალი ეყოლა, და ამ გარემოებამ იძულებულ-ჰყო ამ მცირე ჯამაგირიანი სამსახურისათვისაც თავი დაენებებინა. სამი კვირის განმავლობაში ყმაწვილი ქალის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. საავადმყოფოში წასვლა ვერ გაებედნა და იმდენი შეძლებაც არა ჰქონდა, რომ მომვლელი დაექირავებინა, და მთელ დღეს მარტოდ-მარტო ჰკვნესოდა. ჩარლი კი ამ დროს ნოტარიუსთან იყო და გულდამწვარი, უსახსრო ჰფიქრობდა სასოწარკვეთილ თავისს ცოლზე. რის გაყიდვა და დაგირავებაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი გაყიდ-დააგირავა და ცოლს მოახმარა. ყოველიფერს იკლებდა, რომ მისს ცოლს ცოტა ხეირიანი საჭმელი ჰქონოდა. ნებივრობის სურვილიც რომ ჰქონოდა, ძნელი იყო იმისთვის იმ დროს, როდესაც საყვარელი ცოლი უპატრონობით უკვდებოდა. სახლის პატრონი კიდევ ცალკე ატანდა ძალას—ქირა მომეციო; ექიმის მოყვანაში და წამლის ყიდვაში ხომ უკანასკნელი გროშები მისდიოდა; ცალკე ავადმყოფისთვის არაფერი არ უნდა მოეკლო. დღეში მანათით, ისიც ინგლისში, სადაც ყველაფრის სიძვირეა, ყველა ამისი ასრულება შეუძლებელი იყო. უბედური ჩარლი ჰხედავდა, რომ მის ცოლს, რომლის უბედურების მიზეზი ის იყო, დღითი-დღე ძალა ელეოდა, სუსტდებოდა... სიბილა კვდებოდა და იმისი მამის სურვილი ნახევრად სრულდებოდა: მისი თვითნება ქალი, ერთის წლის ჯვარდაწერილი, კერპობისა, გაჭირვებისა და სიღარიბის მსხვერპლი ხდებოდა.



**დარიალის ხეობა.** — სურათი კნოლისა

ერთს საღამოს დიდხანს უცქირა ქმარს და ბოლოს დაუძახა:—ჩარლი!

ქმარი საწოლთან მივიდა. ჩარლი ცდილობდა სახეზე მხიარული გამომეტყველება ჰქონოდა, რომ ცოლს მისი სასოწარკვეთილება არ წაეკითხა.

— რა გინდა, სულო!—ჰკითხა მან.

— ჩარლი, მე რომ მოვკვდე, ჩვენს ქალს ვიღა უპატრონებს?!

— რას მეუბნები, სიბილავ, ჩემი თავი გენაცვალოს, რადროს სიკვდილია?

....მაგრამ გულმა ვეღარ მოითავსა შეგუბებული ვარამი, და მწარე ქვითინად ამოსკდა. შემაძრწუნებელია ადამიანის ამ გვარი მდგომარეობა მაშინ, როდესაც იგი მოკლებულია უკანასკნელს ღონისძიებას შეუმსუბუქოს მაინც ტანჯვა ძვირფასს არსებას, თუ ხსნა არ შეუძლიან. მაგრამ, იქნება, ხსნა კიდევ შესაძლებელია?! იქნება ბ-ნმა გარდინგმა თავის ქალზე გული მოიბრუნოს?!

ჩარლის თავმოყვარეობა დაავიწყდა. ის, თითქმის შუაღამისას, მივიდა ნაძალადევ სიმამრთან და დაუწყო მუდარა, რომ იმისი გრძნობა-გაყინული გული მოელბო. იგი დიდხანს გულქვად ისმენდა სიძის ხვეწნას, მაგრამ უცბად სინანულმა დასძლია, და ქვითინი წასკდა. მას თვალწინ წარმოუდგა, ოდესმე ძვირფასი სიბილა ვითომც კუბოში ასვენია, და გული ყელში მოებჯინა. ის კი, მისი მამა, მიზეზია იმის უდროვოდ წამებრივის სიკვდილისა!? ოჰ, რა გვიან გაიღვიძა საბრალო მამის გულში სინანულმა!? საცოდავი ბ-ნი გარდინგი!

სინანულმა და მოუთმენლობამ იმ ზომამდე შეიპყრა იგი, რომ იმედი გადაუწყდა, მეეტლე დროით აღარ მიგვიყვანს ჩემის სიძის სახლშიო, და ცხენების გარეკვას აძალებდა მეეტლეს. მადლობა ღმერთს, როგორც იყო, ჩარლის სადგომს მიაღწიეს. დიდხანს მოუნდნენ სიძე-სიმამრი ვიწრო, ბნელს კიბეზე ასვლას. ბოლოს ჩარლიმ სულ ზემო სართულში შეაღო პატარა ოთახის კარები. ბნელოდა. მოხუცმა ძლივს გაარჩია საწოლზე მწოლიარე ქალი.

— თუ ღმერთი გრწამს, ჩქარა სანათს მოუკიდე!—სთქვა მან ხრანტალით. სანთელმა ოთახი ოდნავ გააშუქა. ორივე დაიხარნენ ავადმყოფისკენ, რომლის გაშეშებული ხელები საბანზე შოლტებივით ეყარნენ. მამა მათ ბრთხილად შეეხო და შეძრწუნებულმა შეჰყვირა: ხელი ცივი იყო.

გარდინგმა ხელი ბავშვისაკენ გაიწოდა, რომელიც დედის გვერდით იწვა, მაგრამ ისიც მარმარილოსავით გაციებულიყო.

ამ გვარად გარდინგს უკანასკნელი სურვილი, იმედი, რომ ქალისადმი ჩადენილი დანაშაული შვილისშვილის აღზრდით გამოესყიდა—გაუცრუვდა. უდროვოდ გამოიღვიძა სინანულმა! დაგვიანებულია!

მათე გარდინგმა ადგომა მოინდომა, მაგრამ რეტი დაესხა, ოთახმა ტრიალი დაიწყო, ჭერი თითქოს თავზე დაეშვა, კედლებმა შიგნით შეიწიეს და იატაკმა ზანზარი შეჰქმნა. მოხუცმა ხელები მაღლა აიშვირა, გულს თითქოს რაღაც მოსწყდა და...... გამოეღვიძა!

ქვაბიდგან ადუღებული წყალი გადმოდიოდა. არყის შუშა, შაქარი და ლიმონი თავთავის ალაგს იყო.

ძლივს, ოდნავ გასაგონად, კრიჭა-შეკრულმა წამოილუღლუღა:—ოჰ, საშინელი, შემაძრწუნებელი სიზმარი ვნახე, სიბილავ!... შენისა და ჩარლის შეუღლების წინააღმდეგი არა ვარ!.. ღმერთმა გაგაბედნიეროთ!

**ანტონ თოიძე**

# გასართობი

ერთი ინგლისელი ექიმი გვარწმუნებს, რომ ადამიანის ხასიათი და ნიჭიერებაც ძალიან არის დამოკიდებული იმისაგან, თუ რასა სჭამს კაცი.

მაგალითად, გვასწავლის ახალ მოდის ესკულაპი, ვისაც სურს იყოს ენერგიულ, თამამი და მამაცი ადამიანი, ორის თვის განმავლობაში მაინც მარტო ხარისა და კამეჩის ხორცი უნდა სჭამოსო. თუ ის ამავე დროს განმავლობაში მარტო ღორის ხორცს სჭამს, პესსიმისტი გახდებაო. ხბოს ხორცის მჭამელი ადამიანი მხდალი და უხასიათო არისო; ყველა ქმრებს, რომლებიც ცოლებსა ჭკუაზე დაჯაბნებული, ხბოს ხორცი უყვართო. რძისა და კვერცხების ჭამა ჭკუასა და გრაციას უწვრთნის ადამიანსო; ამასთანავე ჭკვიანი კაცი ბევრ ვაშლს უნდა სჭამდესო; ხოლო ვისაც მეხსიერების განვითარება უნდაო, მან მდოგვი ხშირად უნდა იხმაროსო.

როგორც სჩანს ამ ექიმს თავის სიცოცხლეში ცოტა ვაშლი უჭამია!



ძმ. ადელგეიმთა (არტისტები) შემოსვლა ტფილისში

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი



ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.